მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

28 სექტემბერი, 2023
№ 23/03-960

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს ც.როხვაძეს

მოსარჩელე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლების
ნინო გუჯარაიძის, ირმა მახათაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
/ხარვეზის შევსების შესახებ/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 11 სექტემბრის განჩინებით (საქმე N3/6776-23 / 330310023007814991) მოსარჩელეს განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 (ათი) დღე. ვადის ათვლა დაიწყო განჩინების მოსარჩელისათვის ჩაბარების დღიდან; მოსარჩელე მხარეს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

განჩინების სამოტივაციო ნაწილში კი სასამართლომ მიუთითა - მოცემულ შემთხვევაში ***მოსარჩელე მხარის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა,*** რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი. წარმოდგენილ სარჩელს არ ერთვის აღნიშნული გადაწყვეტილება. ამდენად, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს სრულად უნდა წარმოუდგინოს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტები, რომელთა ბათილად ცნობასაც ითხოვს იგი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 11 სექტემბრის განჩინებით *(დადგენილი წესით მხარეს ჩაბარდა 2023 წლის 18 სექტემბერს)* დადგენილი ხარვეზის შევსების მიზნით სასამართლოს მიერ განსაზღვრული 10 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით წარმოგიდგენთ:

როგორც ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2023 წლის 05 სექტემბერს წარმოდგენილი სარჩელით ირკვევა მოპასუხე - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიმართ მოსარჩელე (ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ აღძრულია სარჩელი შემდეგი სასარჩელო მოთხოვნებით:

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ სააგენტოს საჯარო ინფორმაციის

ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის 2023 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება - ***ე.წ. „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი,*** რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 მაისის №23/09/03-939 განცხადება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს მოსარჩელეს N21/03-939 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია;

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირის 2023 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილება - ***ე.წ. „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი,*** რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2023 წლის 23 მაისის №23/02-119 განცხადება, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე და დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს გადასცეს მოსარჩელეს N21/03-119 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია;

- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი.

წინამდებარე სარჩელის მესამე ფაქტობრივ გარემოებაში მოსარჩელე მხარემ გარკვევით, მკაფიოდ და ნათლად მიუთითა, რომ 2023 წლის 3 ივლისს მოსარჩელემ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს წარუდგინა ადმინისტრაციული საჩივარი, თუმცა არ მიუღიათ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე და არც რაიმე შემდგომი ნაბიჯის ამსახველი რაიმე დოკუმენტი ანუ მხარეს არ მიუღია არც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. (***იხ. ადმინისტრაციული საჩივარი);*** მაშასადამე, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ზემდგომი ორგანოს მიერ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის ***ზეპირად უარის თქმის შემთხვევა ანუ ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი,*** რაც სზაკ-ის 177-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად წარმოადგენს ე.წ. „ვირტუალურ“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტს და საჩივრდება 178.3 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სწორედ მითითებული ნორმით მინიჭებული უფლების რეალიზაციის უხეში ხელყოფაა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 11 სექტემბრის განჩინება (საქმე N3/6776-23), რომლითაც არარსებული ხარვეზი დაადგინა სასამართლომ და ფაქტიურად მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმისათვის ხელოვნურად გამოგონილი ხარვეზზე მიუთითა მხარეს ***(რადგან ე.წ. ვირტუალური უარის, ანუ ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის წარმოდგენა შეუძლებელია),*** რაც ამავდროულად ევროპული კონვენციით მონიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევასაც წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, წარმოვადგენთ ხარვეზად მიჩნეული წინამდებარე სარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას **- ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილება - ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივარი.**

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი